სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების ფუნქციური აღწერა

საბაკალავრო პროგრამებისთვის

ლექცია

ლექცია - აკადემიური დროის მონაკვეთი, როდესაც პროფესორი, ახალი ცოდნის ფორმირების მიზნით, ზეპირი ფორმით, სტუდენტურ აუდიტორიას გადასცემს შემეცნებით ინფორმაციას წინასწარ განსაზღვრული ან სპონტანურად წარმოშობილი თემატიკის მიხედვით. ლექციამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტთა სააზროვნო აქტივობა, ემოციური კავშირის დამყარება ლექტორსა და სტუდენტებს შორის ანუ ინტერაქტიური გარემოს შექმნა, რისთვისაც გამოყენება ისეთი აქტივობები, როგორიცაა ინდუქცია, დედუქცია, დემონსტრირება თვალსაჩინო მასალის ან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით და სხვ. ლექცია შეიძლება ჩაატაროს უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა ან დარგში აღიარებულმა, ან პრაქტიკოსმა სპეციალისტმა, ან ლექცია შეიძლება ჩატარდეს პრაქტიკის ობიექტზე, დარგის წამყვანი სპეციალისტის მიერ.

ლექციის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები

ინტერაქტივი:

სტუდენტებთან აქტიური დიალოგის ფორმატით ჩატარებული ლექცია.

აქტივობა უზრუნველყოფს:

- ახალი ცოდნის ფორმირებას, მიწოდებული მასალის/ინფორმაციის გაგებას/ გააზრებას
- კრიტიკული აზროვნების განვითარებას
- ინდუქციური და დედუქციური აზროვნების განვითარებას
- კომუნიკაციის უნარის განვითარებას
- სტუდენტთა ყურადღების მაღალი კონცენტრაციის მიღწევას და შენარჩუნებას
- გადაცემული მასალის გაგების ხარისხის ექსპრეს მონიტორინგს მეცადინეობის მთელ პერიოდზე.

პრეზენტაცია:

ლექციის მიმდინარეობის პროცესში დამატებითი საინფორმაციო-ვიზუალური (მათ შორის ელექტრონული და მატერიალური) საშუალებების გამოყენება.

აქტივობა უზრუნველყოფს:

- ახალი ცოდნის ფორმირებას, მიწოდებული მასალის/ინფორმაციის გაგებას/ გააზრებას
- კრიტიკული აზროვნების განვითარებას
- ინდუქციური და დედუქციური აზროვნების განვითარებას
- კომუნიკაციის უნარის განვითარებას
- სტუდენტთა ყურადღების მაღალი კონცენტრაციის მიღწევას და შენარჩუნებას
- გადაცემული მასალის გაგების ხარისხის ექსპრეს მონიტორინგს მეცადინეობის მთელ პერიოდზე

რეკომენდაცია: რეკომენდირებულია ინტერაქტიური და საპრეზენტაციო ლექციების კომბინაცია, რაც საგრძნობლად აამაღლებს სასწავლო ეფექტს.

ლექცია დარგის სპეციალისტის მონაწილეობით:

ლექცია, რომელსაც ატარებს დარგის ცნობილი სპეციალისტი/ექსპერტი, მათ შორის, პრაქტიკოსი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან თემაზე ან თანამედროვე პრაქტიკული მიღწევების, ან უახლესი მეცნიერული მიღწევების შესახებ.

აქტივობა უზრუნველყოფს:

- ახალი ცოდნის ფორმირებას, მიწოდებული მასალის გაგებას/გააზრებას
- სპეციალისტთა საზროვნო კლიშეების გაცნობას და გამოყენებას (სპეციალისტთა წრეში პროფესიული კომუნიკაციის უნარის ფორმირებისთვის)
- განსახილველი თემის პრაქტიკული ასპექტების გააზრებას
- მოტივაციის გაძლიერებას

ლექცია კომპანიაში / საველე პირობებში:

ლექცია, რომელიც ტარდება პროგრამის პროფილის შესაბამის კომპანიაში ან საველე პირობებში. ლექცია შეიძლება ჩაატაროს, როგორც დისციპლინის წამყვანმა პროფესორმა დამოუკიდებლად, ისე კომპანიაში მომუშავე ან მოწვეულ სპეციალისტთან/ექსპერტთან ერთად. ლექციას წინ უნდა უძღვოდეს კომპანიის საქმიანობის გაცნობა, დათვალიერება.

აქტივობა უზრუნველყოფს:

- ახალი ცოდნის ფორმირებას პრაქტიკულ კონტექსტში
- სპეციალისტთა საზროვნო კლიშეების გაცნობა-გამოყენებას (სპეციალისტთა წრეში პროფესიული კომუნიკაციის უნარის ფორმირების ხელშესაწყობად)
- თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის ალგორითმის გააზრებას
- (თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარის ფორმირებისათვის)
- პროფესიული სიამაყის გრძნობის და ღირებულების ფორმირებას
- მაპროფილებელი კომპანიის პრაქტიკული მუშაობის მექანიზმის გაცნობას
- სწავლისადმი მოტივაციის ამაღლებას
- მაღალი მანემური ეფექტის მიღწევას, რასაც უზრუნველყოფს რეალურ სამუშაო გარემოში თეორიული მასალის ვერბალური დემონსტრირება.

ვიდეო მასალის ჩვენება – კომენტირება

ლექცია, რომელიც ტარდება ვიდეო მასალის კომენტირებით გამოიყენება, როგორც დამხმარე ხერხი თეორიული საკითხების ვიზუალიზაციის, ცალკეული თეორიების, დებულებების დადასტურების ან პრაქტიკული მაგალითების დემონსტრირებისთვის.

აქტივობა უზრუნველყოფს:

- ახალი ცოდნის გააზრებას/გაცნობიერებას
- დინამიური პრაქტიკული მაგალითების ანალიზის უნარის განვითარებას
- კრიტიკული აზროვნების განვითარებას
- სწავლის მოტივაციის ამაღლებას
- მაღალი მანემური ეფექტის მიღწევას ვერბალური და ვიზუალური კომუნიკაციის სინთეზით

ექსპრეს გამოკითხვა:

გულისხმობს ლექციის ბოლოს რამდენიმე წუთის გამოყოფას და სტუდენტებისგან, წერილობითი ფორმით, ინფორმაციის მიღებას გადაცემული/დამუშავებული მასალის გაგების შესახებ.

მეთოდი არ გამოიყენება სტუდენტის ცოდნის შეფასებისთვის.

მეთოდი ეფექტურია უკუკავშირის მიზნებისათვის, პროფესორს/ასისტენტს ეხმარება შეაფასოს ჩატარებული მეცადინეობის ხარისხი, გამოყენებული სასწავლო მეთოდის/აქტივობის ეფექტურობა.

გამოკითხვა შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახით: სტუდენტებს მიეცემათ 1-2 წუთი, რომ ნახევარ გვერდზე უპასუხონ ორ მსგავს კითხვას:

- რას თვლიან ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად/საკითხებად ჩატარებული ლექციიდან
- ყველაზე ნაკლებად რა საკითხი/საკითხები არის მათთვის გასაგები (ამ ფორმით კითხვის დასმა განპირობებულია გულწრფელი პასუხის მიღების მიზნით).

შეიძლება დაევალოთ ერთი წინადადებით ან ერთი აბზაცით შეაჯამონ ლექცია და სხვ.

აქტივობა უზრუნველყოფს:
- თვითანალიზის უნარს
- სწავლის შემდგომი საჭიროების განსაზღვრის უნარს
- საკუთარი შემეცნებითი პროცესის მართვის უნარს
- სასწავლო მოტივაციას
- საკუთარი სწავლის პროცესის ანალიზისა და შეფასების უნარს

აქტივობა ხელს უწყობს:
- მეცადინეობის უკეთ დაგეგმვას, სწავლების ეფექტური მეთოდების შერჩევას

დისტანციური სწავლება:

დისტანციური სწავლება არის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ქსელის გამოყენებით სინქრონული ონლაინ სასწავლო-კვლევითი ურთიერთობა სტუდენტსა და ლექტორს შორის, რომელიც გულისხმობს სალექციო მასალის გადაცემას და, უკუკავშირის მიღებას, შეიძლება შეფასებისთვის განხორციელებული აქტივობაც, რომელიც არ საჭიროებს მატერიალური რესურსის არსებობას და არ არის დაკავშირებული პრაქტიკული უნარების შეფასებასთან (ძირითადად, გამოიყენება უცხოეთიდან ჩატარებული ლექციისთვის უცხოელი ან უნივერსიტეტის პერსონალის მიერ).

აქტივობა უზრუნველყოფს:

- სასწავლო პროცესის მოქნილობის/ეფექტურობის გაზრდას
- სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის უნარის განვითარებას
- სასწავლო მოტივაციის გაზრდას
- სწავლის პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების უნარის განავითარებს

პრესაცნობრო მუშაობა:

ეს არის დავალების სახე, რომელიც შეიძლება მიეცეს სტუდენტებს როგორც ლექციის, ისე სემინარის ფარგლებში. დავალება შეიცავს მომავალი მეცადინეობით გათვალისწინებულ თემატიკას, საკითხებს, პრობლემებს. მისი მიზანია სტუდენტებმა დამოუკიდებლად მოიძიონ მასალა/ინფორმაცია მიცემული დავალების ფარგლებში, მოემზადონ დისკუსიისათვის ან ახალი მასალის ახსნისათვის. დავალება არ ფასდება.

მეთოდი განავითარებს:

- საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის მოძიების უნარს.
- დამოუკიდებელი სწავლის უნარს
- საკუთარი შემეცნებითი პროცესის მართვის უნარს
- სასწავლო მოტივაციას

მეთოდი ხელს უწყობს:
- ახალი მასალის გაგება-გაცნობიერების ეფექტის ამაღლებას.

სემინარი / სამუშაო ჯგუფში მუშაობა

სემინარი/სამუშაო ჯგუფში მუშაობა - გულისხმობს პროფესორის ან ასისტენტის, ან მოწვეული სპეციალისტის მუშაობას სტუდენტთა მცირე ჯგუფთან ლექციაზე მიღებული ცოდნის განმტკიცების, ან/და დარგობრივი და ზოგადი უნარ- ჩვევების განვითარების მიზნით. სამუშაო ჯგუფში მუშაობის ფარგლებში შესაძლებელია კონკრეტული აქტივობის გამოყენება სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაფასებლადაც.

სემინარის/სამუშაო ჯგუფში მუშაობის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები

დისკუსია:

სტუდენტები იხილავენ ლექტორის მიერ მიწოდებულ ან სტუდენტის მიერ წამოჭრილ პრობლემას, თემას, საკითხს, ან მოძიებულ სასწავლო/ინოვაციურ ინფორმაციას. მეცადინეობაზე შეიძლება შეიქმნას იმპროვიზირებული ჯგუფები, რომლებიც წარადგენენ გუნდურად შემუშავებულ არგუმენტებს.

აქტივობა განავითარებს:

- გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევებს
- პროფესიონალთა წრეში კომუნიკაციის უნარს
- კრიტიკული აზროვნების უნარს
- არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარს
- პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის გზების ძიების უნარს

აქტივობა უზრუნველყოფს:

- სფეროს კომპლექსური საკითხების გააზრება/გაცნობიერებას
- პროფესიული ღირებულებების ფორმირებას/გაცნობიერებას.
- ეთიკური და პროფესიული ღირებულებების ჩამოყალიბებას

კაზუსის ანალიზი:

კაზუსი არის შემთხვევა სამართლებრივი ურთიერთობის პრაქტიკიდან, რომელიც განიხილება მცირერიცხოვან ჯგუფში სემინარის ან პრაქტიკული მეცადინეობის დროს.

აქტივობა განავითარებს:

- სამართლებრივი პრობლემის იდენტიფიცირების და გადაჭრის უნარს
- კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების უნარს
- ანალიზის უნარს
- კომუნიკაციის უნარს
- ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარს
- ეთიკურ და სამართლებრივ ღირებულებებს და ამ ღირებულებებით ოპერირების უნარს
- დასკვნის გაკეთების უნარს

აქტივობა უზრუნველყოფს:

- შემეცნებითი ინტერესის აღძვრას
- განვლილი მასალის ათვისების ხარისხზე მონიტორინგის განხორციელებას
- განვლილი მასალის განმტკიცებას, კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას

სიტუაციური ამოცანის ანალიზი:

სიტუაციური ამოცანა არის წარმოსახვით ფაქტორთა სისტემა, რომელიც ქმნის წარმოსახვით სიტუაციას და გამოკვეთს კონკრეტულ პროფესიულ პრობლემას. სიტუაციური ამოცანის ფორმირება უნდა დაეფუძნოს გონებრივი აქტივობის იერარქიას - გაცნობა, გააზრება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი, შეფასება.

აქტივობა განავითარებს:

- კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების უნარს
- პრობლემის იდენტიფიცირების და გადაჭრის უნარს
- ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარს
- ეთიკურ და პროფესიულ ღირებულებებს და ამ ღირებულებებით ოპერირების უნარს
- ანალიზის, სინთეზის, დასკვნის გაკეთების უნარს

აქტივობა უზრუნველყოფს:

- პროფესიული და შემეცნებითი ინტერესის განვითარებას
- განვლილი მასალის ათვისების ხარისხზე მონიტორინგის განხორციელებას
- განვლილი მასალის განმტკიცებას, კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას
- სტუდენტთა შემეცნებითი რესურსის მომზადებას ქეისის/კაზუსის ანალიზისთვის შესაბამისი უნარების განვითრებით (ანალიზის, სინთეზის, დასკვნის გაკეთების უნარი)

რეკომენდაცია: აქტივობა გამოყენებულ იქნას სწავლების დაწყებით ეტაპზე

ვიდეო მასალის ჩვენება-განხილვა:

გულისხმობს პრაქტიკული მაგალითების, დოკუმენტური მასალის ვიდეო დემონსტრირებას და განხილვას. განხილვა შეიძლება განხორციელდეს, როგორც დებატებით, ისე ინდივიდუალური ანალიზით.

აქტივობა განავითარებს:

- ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევებს
- აკადემიურ წრეში კომუნიკაციის უნარს
- კრიტიკული აზროვნების უნარს
- არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარს
- პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის გზების ძიების უნარს

აქტივობა უზრუნველყოფს:

- სასწავლო მოტივაციის განვითარებას
- ყურადღების მაღალი კონცენტრაციის უნარის განვითარებას
- დარგობრივი პრობლემის მიმართ ინტერესის აღძვრას
- მასალის ცოდნასა და გაცნობიერებაზე, აგრეთვე, ზოგადი უნარ-ჩვევების
- ხარისხზე მონიტორინგის განხორციელებას.

ტექსტის კითხვა, ანალიზი და ინტერპრეტაცია:

გულისხმობს ტექსტის სეგმენტურ კითხვას ხმამაღლა, ანალიზს, ინტერპრეტაციას. ტექსტი შეიძლება წაიკითხოს ერთმა სტუდენტმა ან ჯგუფის თითოეულმა წევრმა ნაწილ-ნაწილ.

აქტივობა განავითარებს:

- ლექსიკურ-გრამატიკულ ცოდნას
- წაკითხული ტექსტის გაგების, ინტერპრეტაციის უნარს
- ენობრივ გარემოში კომუნიკაციის უნარს
- კრიტიკული აზროვნების უნარს
- ჯგუფური მუშაობის უნარს
- დასკვნის გაკეთების უნარს

რეკომენდაცია: ეს აქტივობა, ძირითადად, უცხოური ენების სწავლების დროს გამოიყენება, თუმცა, რთული მასალის მიწოდებისას, შეიძლება, დარგობრივი დისციპლინის სწავლების შემთხვევაშიც იქნას ჩართული მეთოდურ არსენალში, მაგ.: კანონის განხილვის დროს.

პრაქტიკული მუშაობა

პრაქტიკული მუშაობა – პრაქტიკულ მუშაობის დროს სრულდება ლაბორატორიული ხასიათის სამუშაო ან მიმდინარეობს პრაქტიკულ მაგალითებზე (ქეისი) დაფუძნებული სწავლა-სწავლების პროცესი, ან ენობრივი უნარ-ჩვევების გამომუშავება, ან ტრანსფერული უნარ-ჩვევების განვითარება, ან რეალობასთან მიახლოვებული სიტუაციების გათამაშება და სხვ.

პრაქტიკული მუშაობის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები

როლური თამაში:

არის კვაზირეალურ ფაქტორთა სისტემა, რომელიც ქმნის რეალურთან მაქსიმალურად მიახლოვებულ გარემოს, სადაც სტუდენტები როლური ფუნქციის ფარგლებში წყვეტენ დასმულ ამოცანებს

აქტივობა განავითარებს:

- საკუთარი შესაძლებლობების შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრის უნარს
- თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარს
- არაორდინალურ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარს
- პრობლემის ან პრობლემათა კომპლექსის შეფასებისა დ გადაჭრის ადეკვატური მეთოდის გამოყენების უნარს
- პროფესიული ღირებულებების გააზრების და ამ ღირებულებებით ოპერირების უნარს

ლაბორატორიული სამუშაო:

გულისხმობს კონკრეტული დისციპლინის ფარგლებში ლაბორატორიული ცდების/ექსპერიმენტების ჩატარებას კონკრეტული მოვლენის/პროცესის დემონსტრირების ან ამ პროცესზე დაკვირვებისა და ანალიზის მიზნით.

აქტივობა განავითარებს:

- ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარს
- დაკვირვების უნარს
- ტექნიკის პრაქტიკულად გამოყენების უნარს
- ანალიზისა და დასკვნის გაკეთების უნარს
- უსაფრთხოების წესების დაცვის უნარს

აქტივობა უზრუნველყოფს:

- პროფესიული ღირებულებების გააზრებას და ამ ღირებულებებით ოპერირებას.

ქეისის ანალიზი:

მაგალითები პრაქტიკიდან, რომელიც დამახასიათებელია ან განსაკუთრებულია ამ თუ იმ კონკრეტული დარგისთვის.

აქტივობა განავითარებს:

- ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარს
- კრიტიკული ანალიზის უნარს
- დასკვნის გაკეთების უნარს
- საკუთრი შეხედულებების დასაბუთების უნარს
- ღირებულებებს და ამ ღირებულებებით ოპერირების უნარს

იურიდიული კლინიკა:

არის უნივერსიტეტის ან სხვა ორგანიზაციის ფარგლებში არსებული სასწავლო სტრუქტურული ერთეული, რომელიც, სასწავლო პროგრამის საფუძველზე, ორგანიზებას უწევს სამართლის სკოლის სტუდენტთა პრაქტიკულ სწავლებას სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებით.

აქტივობა განავითარებს:

- სამართლებრივ აზროვნებას
- პრაქტიკულ უნარებს
- სასწავლო მოტივაციას
- პროფესიული კომუნიკაციის უნარს
- პროფესიული ეთიკის ნორმებით ოპერირების უნარს

- სწავლის საჭიროების განსაზღვრის უნარის განვითარებას
- კომპლექსურ, არაპროგნოზირებად გარემოში საქმიანობის წარმართვა განვითარებაზე ორიენტირებით

ხელს უწყობს:
- სტუდენტების მომზადებას პროფესიაში შესვლისთვის

სამართლის პრეკლინიკა:

არის კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამაში ინტეგრირებული (ჩაშენებული) მინი პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც წინ უძღვის იურიდიულ კლინიკას, ამზადებს საფუძველს სრულყოფილი პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის და ხელს უწყობს სტუდენტთა რბილ ადაპტაციას პროფესიულ გარემოსთან.

აქტივობა ხელს უწყობს:

- თეორიული ცოდნის პრაქტიკაში აპრობირების უნარის ფორმირებას
- დაკვირვებისა და არსებული პრაქტიკის პროფესიული შეფასების უნარის ჩამოყალიბებას
- მოტივაციური ბაზისის ფორმირებას
- პროფესიული კომუნიკაციის უნარის ფორმირებას
- პროფესიული ეთიკის ნორმებით ოპერირების უნარის გამომუშავებას
- კომპლექსურ, არაპროგნოზირებად გარემოში საქმიანობის წარმართვა განვითარებაზე ორიენტირებით

სიმულაციური მუშაობა:

მატერიალურ ფაქტორთა სისტემა, რომელიც ქმნის რეალურთან მაქსიმალურად მიახლოვებულ გარემოს. სტუდენტის ამოცანაა კონკრეტულ კვაზირეალურ გარემოში იმოქმედოს პროფესიულად გამართლებული ტაქტიკით და მიიღოს მართებული გადაწყვეტილებები.

აქტივობა უზრუნველყოფს:

- ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარის განვითარებას
- კოლეგებთან კომუნიკაციის უნარის ფორმირებას
- საკუთარი შეცდომების აღიარებისა და პასუხისმგებლობის აღებას სხვისი პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის
- სწავლის საჭიროების განსაზღვრის უნარის განვითარებას
- პროფესიული მანიპულაციების ჩატარების უნარის ფორმირებას
- ტექნიკის ეფექტურად გამოყენების უნარის ფორმირებას
- მართებული გადაწყვეტილებების მიღების უნარის განვითარებას
- დასკვნის გაკეთების უნარის განვითარებას

სავარჯიშოებზე მუშაობა:

სავარჯიშო არის სპეციალური სასწავლო დავალება, რომლის მიზანია სტუდენტის ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განვითარება (შესაძლებელია სემინარის მეთოდის ფარგლებშიც)

აქტივობა უზრუნველყოფს:

- ცოდნის განმტკიცების და ამ ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარის ფორმირებას
- ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნარის ფორმირებას დროის გარკვეულ მონაკვეთში
- ოპერატიული აზროვნების განვითარებას
- თეორიული ცოდნის და ღირებულებითი სისტემის განვითარებას
- სტუდენტთა შემეცნებითი რესურსის მომზადებას ქეისის/კაზუსის ანალიზისთვის
- შესაბამისი უნარების განვითრებით (ანალიზის, სინთეზის, დასკვნის გაკეთების უნარი) კონკრეტული დავალების ფარგლებში

ელექტრონული რესურსით სწავლება:

გულისხმობს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით პროფესორთან ინდივიდუალური კონსულტაციის ან ფორუმის ორგანიზებას, დავალებების მიღებას, თვალსაჩინო მასალის გაცნობას, ან სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის, უნივერსიტეტში გამოცხადების შეუძლებლობის შემთხვევაში, სასწავლო მასალის მიწოდებას, ახსნას, საშინაო დავალების მიცემას და შეფასებას.

მეთოდი უზრუნველყოფს:

- ახალი ცოდნის ფორმირებას - ათვისებას
- შემეცნებითი მიზნებისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარის განვითარებას
- უნარ-ჩვევის განვითარებას, რომელიც დაგეგმილია სილაბუსით.
- ინკლუზიური გარემოს შექმნას
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების ინტეგრაციას ერთიან აკადემიურ პროცესში.

პროფესიული/სასწავლო პრაქტიკა:

დარგობრივ კომპანიაში სტუდენტთა მცირე დროით მივლინება პრაქტიკული საქმიანობის გაცნობის და ამ საქმიანობაში უშუალო მონაწილეობის მიღების მიზნით ან უნივერსიტეტის სტუდიურ/ლაბორატორიულ სტრუქტურულ ერთეულში (სასწავლო პრაქტიკა) მუშაობა.

მეთოდი განავითარებს:

- ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარს
- კომუნიკაციის უნარს
- შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრის უნარს
- პროფესიული ღირებულებების გააზრების და ამ ღირებულებებით ოპერირების უნარს.

მასტერკლასი:

გულისხმობს დარგის აღიარებული სპეციალისტის მიერ პროფესიული უნარ-ჩვევების დემონსტრირებას და ამ პროცესში სტუდენტთა უშუალო მონაწილეობას

მეთოდი განავითარებს:

- პროფესიულ და ზოგად უნარ-ჩვევებს
- ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარს
- დარგისათვის დამახასიათებელ პროფესიულ ლექსიკას და მისი გამოყენების უნარს პროფესიონალთა წრეში კომუნიკაციის განხორციელებისათვის
- მოტივაციას.

მეთოდი ხელს უწყობს:

- ეთიკური ნორმების გამოყენებისა და პროფესიული ღირებულებების გააზრებას

კონსულტაცია:

დამოუკიდებელი კომპონენტია, რომელიც გულისხმობს ერთ ან მცირერიცხოვან ჯგუფთან (1-3 სტუდენტი) ჩატარებულ მუშაობას კონკრეტული საკითხების დამატებით ახსნის ან/და რთული დავალებების შესრულების მიზნით.

აქტივობა უზრუნველყოფს

- მასალის გაგება-გაცნობიერებას
- იმ უნარ-ჩვევების განვითარებას, რომლის დეფიციტიც იგრძნობა კონკრეტულ შემთხვევაში
- სასწავლო მოტივაციის განვითარებას
- საკუთარ შესაძლებლობებში რწმენის განმტკიცებას

შეფასების მეთოდების ფუნქციური აღწერა

საბაკალავრო პროგრამებისთვის

მეთოდურ რეკომენდაციებში მოცემულია ცალკეული მეთოდის მიზნობრიობა/ფუნქციური დანიშნულება და ძირითადი კრიტერიუმები, რომლებიც კურსის წამყვანმა პერსონალმა შეიძლება შეცვალოს - დააზუსტოს კონკრეტული სალექციო მასალის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო მასალის ზეპირი პრეზენტაცია/გამოკითხვა

მეთოდი ავლენს:

- კონკრეტული სალექციო მასალის ცოდნის დონეს - ფაქტებისა და მოვლენების, ტენდენციების, პროცესების კრიტიკულად გააზრების ხარისხს
- სალექციო მასალის - თეორიების, პრინციპების, უახლესი ასპექტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კრიტიკულად გააზრების ხარისხს
- აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარს

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- არგუმენტირებულად, დამაჯერებლად აღწერს/ხსნის მასალის დეტალებს.
- სიზუსტით აღწერს ფაქტებსა და მოვლენებს
- გასაგები ენით გადმოსცემს მასალას.
- კითხვებზე პასუხი დამაჯერებელია.

გუნდური სასწავლო/პრაქტიკული ხასიათის პროექტი

მეთოდი ავლენს:

- სასწავლო/პრაქტიკული ხასიათის პროექტის შექმნის/განხორციელების უნარს წინასწარი მითითებების საფუძველზე
- გუნდში ინტეგრირების/კომუნიკაციის უნარს
- მასალის კრიტიკულად გააზრების უნარს
- პრობლემის/პრობლემების გამოკვეთისა და გადაჭრის გზების ძიების უნარს
- სოციალური და ეთიკური საკითხების გათვალისწინების უნარს
- მონაცემების შეგროვებისა და განმარტების უნარს
- სიტუაციის ანალიზისა და დასკვნის გაკეთების უნარს
- პროექტის წარდგენის უნარს

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- სტრუქტურირებულია ლოგიკურად – შესავალი, მიმოხილვა/გაანალიზება/ პრობლემა /გადაჭრის გზები/დასკვნა
- შეგროვებული მონაცემების განმარტება და სიტუაციური ანალიზი გასაგებია, გამოყენებული მეთოდები ადაეკვატური
- პრობლემის გადაჭრის გზები თეორიულ ცოდნაზეა დაფუძნებული, დასკვნები ლაკონური და არგუმენტირებულია
- აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის უნარს

- გუნდის წევრები კარგი პარტნიორები არიან, სწორად ესმით საკუთარი როლი ჯგუფში, პრეზენტაციის პროცესში მონაწილეობს ჯგუფის თითოეული წევრი. (სიტყვების რაოდენობას პროფესორი სილაბუსში მიუთითებს, მაგრამ არაუმეტეს 3500)

ესსე - ესსე არის თხზულების ერთ-ერთი სახე, რომელიც გადმოსცემს გავრცელებულ საერთო აზრს ან ავტორის (სტუდენტის) მოსაზრებას ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის, მოვლენის, ფაქტის, აზრის შესახებ.

ესსესთვის დამახასიათებელია მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობა. მისი უპირატესობა თხზულების სხვა ფორმებთან ის არის, რომ ესსე შეიძლება დაიწეროს ერთი კონკრეტული საკითხის შესახებ (და არა გლობალური თემის). ესსე შეიძლება შეიცავდეს საორიენტაციო კითხვების/დავალებების პაკეტს.

განარჩევენ ესსეს ორ სახეს - ინფორმაციულსა და არგუმენტირებულს.

- ინფორმაციული ესსე გულისხმობს ამა თუ იმ მოვლენის ან ფაქტის აღწერას, ზოგად ანალიზს (და არა სიღრმისეულს), ან ახსნას.
- არგუმენტირებული ესსე წარმოაჩენს ავტორის საკუთარ პოზიციას/ მოსაზრებას დასმული საკითხის გარშემო და, შესაბამისად, არგუმენტებს, რომელიც დაასაბუთებს წარმოდგენილი პოზიციის/მოსაზრების უპირატესობას.

ესსეს სტრუქტურა ძირითადად სამი ნაწილისგან შედგება:

შესავალი - უნდა გამოიკვეთოს მიზანი, განსახილველი საკითხები, თემის მნიშვნელობა/ აქტუალობა/მოტივაცია.

ძირითადი ნაწილი - უნდა შეიცავდეს ავტორისეულ ანალიზს, საკუთარ პოზიციას, ლოგიკურ და არგუმენტირებულ მსჯელობას.

დასკვნა - აჯამებს, აკონკრეტებს ესსეში მოცემულ მოსაზრებებს.

მეთოდი ავლენს:

- წერითი ნაშრომის შექმნის უნარს წინასწარი მითითებების საფუძველზე
- წერითი კომუნიკაციის უნარს
- ფაქტის მოვლენის კომპაქტურად მიმოხილვისა და განმარტების უნარს
- არგუმენტების/კონტრარგუმენტების ჩამოყალიბების უნარს
- საკუთარი პოზიციის გამოკვეთისა და დასაბუთების უნარს
- აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის უნარს
- ანალიზისა და დასკვნის გაკეთების უნარს

მიმოხილვითი რეფერატი

რეფერატი არის წერითი ნაშრომი, რომელსაც სტუდენტი წერს მითითებული ან მის მიერ შერჩეული და პროფესორთან შეთანხმებული თემის ფარგლებში.

განირჩევა ძირითადად ორი სახის რეფერატი - მიმოხილვითი და ანალიტიკური

მიმოხილვითი რეფერატი გულისხმობს რამდენიმე წყაროს - წიგნის, სტატიის, სხვა სამეცნიერო ნაშრომის ან მოვლენის, პროცესის მიმოხილვას ავტორისეული (სტუდენტის) კრიტიკული ანალიზის, კომენტარის, ან საკუთარი პოზიციის კონსტატაციის გარეშე.

ანალიტიკური რეფერატი - სხვადასხვა წყაროს ანალიზთან ერთად, ითვალისწინებს თემის/წყაროს

მეცნიერულ/შემოქმედებით გააზრებას, კრიტიკულ აანალიზს, შეფასებას.

ამდენად, ბაკალავრიატში რეკომენდირებულია მიმოხილვითი რეფერატის წერის მეთოდის გამოყენება.

მეთოდი ავლენს:

- ნაშრომის მომზადების უნარს წინასწარი მითითებების საფუძველზე
- მონაცემების განმარტებებისა და სიტუაციის ანალიზის უნარს
- ტექსტის სტრუქტურირების უნარს რეფერატის ფორმატით
- აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის უნარს
- საჭირო ინფორმაციის მოძიებისა და ნაშრომში ადეკვატურად გამოყენების უნარს
- დასკვნის გაკეთების უნარს

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- ნაშრომი სტრუქტურირებულია ლოგიკურად – შესავალი, მიმოხილვა/გაანალიზება/ პრობლემა /გადაჭრის გზები/დასკვნა.
- შეგროვებული მონაცემების განმარტება და სიტუაციური ანალიზი გასაგებად არის წარმოდგენილი, გამოყენებული მეთოდები ადეკვატურია.
- პრობლემის გადაჭრის გზები თეორიულ ცოდნაზეა დაფუძნებული, დასკვნები ლაკონური და არგუმენტირებულია.

შემოქმედებითი პროექტი - სასწავლო აუდიო-ვიდეო პროდუქცია

მეთოდი ავლენს:

- შემოქმედებითი პროექტის შექმნას წინასწარი მითითებების საფუძველზე
- შემოქმედებით უნარს
- მასალის ეფექტურად მონტაჟის უნარს
- ტექნიკის შესაძლებლობების ცოდნას და მისი გამოყენების უნარს
- მასალის წარდგენის/კომუნიკაციის უნარს

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- პედაგოგის მიერ დგინდება კონკრეტული კრიტერიუმები (ესთეტიკა, ფორმატი, აქტუალობა, ტექნიკური მხარე, ტექსტი და მისთ.)

სასწავლო მასალის პრეზენტაცია Power Point-ის გამოყენებით

მეთოდი ავლენს:

- თემის შინაარსის სრულყოფილ ცოდნას
- საპრეზენტაციო მასალის ეფექტურად სტრუქტურირების უნარს

- აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარს
- ტექნიკის ფლობის უნარს

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- გადმოცემის მანერა თავისუფალია, ადეკვატურად ოპერირებს პროფესიული ლექსიკით.
- ვიზუალური მასალა შთამბეჭდავი და ინფორმაციულია.
- ტექნიკის გამოყენება სრულყოფილი, კითხვებზე პასუხი არგუმენტირებული.

სასწავლო მასალის პრეზენტაცია Poster-ით

მეთოდი ავლენს:

- თემის შინაარსის სრულყოფილ ცოდნას
- საპრეზენტაციო მასალის ეფექტურად სტრუქტურირების უნარს
- აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარს

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- გადმოცემის მანერა თავისუფალია, ადეკვატურად ოპერირებს პროფესიული ლექსიკით.
- ვიზუალური მასალა შთამბეჭდავი, გამოყენებულია გრაფიკული სქემები, წინადადებები კომპაქტურია და გასაგებად გადმოსცემს ძირითად არსს.
- საპრეზენტაციო აქსესუარების გამოყენება ადეკვატურია, კითხვებზე პასუხი არგუმენტირებული.

პროფესიული პრაქტიკის ანგარიში - პრეზენტაცია

მეთოდი ავლენს:

- საქმისადმი პასუხისმგებლობის ხარისხს
- პრაქტიკის ობიექტის საქმიანობის შინაარსის და სპეციფიკური ასპექტების ცოდნას
- პრაქტიკული უნარების ხარისხს
- კომპლექსურ/არაპროგნოზირებად სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის უნარს
- პროფესიული კომუნიკაციის უნარს
- ეთიკური ღირებულებებით ოპერირების უნარს
- საკუთარი და კოლეგების უწყვეტი პროფესიული განვითრების აუცილებლობის ხედვის უნარს
- შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრის უნარს
- სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების განმარტების, სიტუაციის ანალიზისა და დასკვნის გაკეთების უნარს

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- ანგარიში სრულად ასახავს სტუდენტის მიერ შესრულებულ სამუშაოს
- სამუშაო ფუნქციის შესრულებისას პრობლემის ხედვისა და გადაჭრის გზების დასახვის უნარი სტანდარტული და/ან გამორჩეული მეთოდით
- სტუდენტი აჩვენებს ფართო თეორიულ ცოდნას, გააზრებული აქვს დარგი ძირითადი ღირებულებები და პრინციპები და იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში
- ანგარიშს წარადგენს ჯგუფისა და პროფესორ-მასწავლებლების წინაშე თავისუფლად, ადეკვატურად და დამაჯერებლად

სავარჯიშოების დამოუკიდებლად შესრულება

- ვლინდება თეორიული ცოდნის გამოყენების უნარი პრაქტიკული პრობლემის გადაწყვეტისას – (კონკრეტული სავარჯიშოების კრიტერიუმებს აყალიბებს კურსის წამყვანი ლექტორი)

ქეისების მომზადება

მეთოდი ავლენს:

- თეორიული ცოდნის დონეს
- დაკვირვების უნარს
- კლინიკის/პრაქტიკის ობიექტისთვის დამახასიათებელი პროცესების სპეციფიკის ცოდნას
- კლინიკის/პრაქტიკის ობიექტისთვის დამახასიათებელი პროცესებში პრობლემის გამოკვეთის უნარს
- მიმდინარე პროცესებში ტენდენციების გამოვლენის უნარს

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- პრაქტიკიდან შერჩეული მაგალითები საინტერესოა, სიტუაციური ანალიზით ვლინდება თეორიული ცოდნა და პრობლემის ხედვის, აგრეთვე, ამ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიების შესაძლებლობა - პროფესიული ღირებულებების გააზრება და გამოყენების უნარი.
- პრეზენტაციის შემთხვევაში: ვლინდება საკუთარი აზრის არგუმენტირებულად, დამაჯერებლად გადმოცემის უნარი (ქეისების რაოდენობას პროფესორი მიუთითებს სილაბუსში)

სიტუაციური ამოცანა

მეთოდი ავლენს:

- თეორიული ცოდნის კრიტიკულად გააზრების უნარს
- ანალიზისა და დასკვნის გაკეთების უნარს
- რთული პრობლემის გადაჭრის უნარს
- პრობლემის გადაჭრისთვის შესაბამისი მეთოდის შერჩევის უნარს
- არგუმენტირების უნარს

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- სტუდენტს სწორად ესმის ამოცანის არსი, გააზრებული აქვს სიტუაციის კონტექსტი, ამოცანის გადაწყვეტის გზები რაციონალურია – იყენებს გამორჩეულ მეთოდებს
- სტუდენტი ავლენს პროფესიული ღირებულებების/პრინციპების გააზრებისა და გამოყენების უნარს
- აქვს პრობლემის ანალიზისა და დასკვნის გაკეთების უნარი

როლური თამაში/სიმულაცია

მეთოდი ავლენს:

- ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარს
- ეთიკური პრინციპებით ოპერირების უნარს
- კოლეგებთან კომუნიკაციის უნარს

- კომპლექსურ/არაპროგნოზირებად მოდელირებულ სამუშაო გარემოსთან ადაპტირების უნარს
- შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრის უნარს
- პრობლემის გადაწყვეტის უნარს
- გადაწყვეტილების მიღების უნარს

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- სტუდენტს სწორად ესმის დასმული ამოცანა, ითვალისწინებს კვაზირეალური სიტუაციის კონტექსტს და საკუთარ როლურ ფუნქციას.
- პრობლემის გადასაწყვეტად ღებულობს რაციონალურ გადაწყვეტილებას – იყენებს სტანდარტულ და/ან გამორჩეულ მეთოდებს.

კაზუსის ამოხსნა

მეთოდი ავლენს:

- თეორიული ცოდნის დონეს
- ცოდნის გამოყენების უნარს (შესაბამისი მეთოდების შერჩევა-გამოყენება) პრაქტიკული ამოცანების/პრობლემების გადაწყვეტისას
- აზრის ლოგიკურად განვითრების უნარს
- ანალიზისა და დასკვნის უნარს
- არგუმენტირების უნარს
- პრობლემის გადაწყვეტის უნარს არსებული ან გამორჩეული მეთოდით
- ეთიკური და სამართლებრივი ღირებულებებით ოპერირების უნარს

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- სტუდენტს სწორად ესმის აღწერილი კაზუსის არსი და მისი კონტექსტი, დასმულ ამოცანას წყვეტს სტანდარტული, საჭიროების შემთხვევაში, გამორჩეული მეთოდით.
- აქვს თეორიული მასალის ფართო ცოდნა, გააზრებული აქვს და იყენებს სამართლის ძირითად ღირებულებებსა და პრინციპებს.
- აქვს სამართლებრივი მოვლენის კრიტიკულ ანალიზის, სინთეზისა და დასკვნის გაკეთების უნარი

ქეისის ანალიზი

მეთოდი ავლენს:

- თეორიული ცოდნის დონეს
- ცოდნის გამოყენების უნარს (შესაბამისი მეთოდების შერჩევა-გამოყენება) პრაქტიკული ამოცანების/პრობლემების გადაწყვეტისას
- აზრის ლოგიკურად განვითრების უნარს
- ანალიზისა და დასკვნის გაკეთების უნარს
- არგუმენტირების უნარს
- პრობლემის გადაწყვეტის უნარს არსებული ან გამორჩეული მეთოდით
- ეთიკური ღირებულებებით ოპერირების უნარს

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- სტუდენტს სწორად ესმის აღწერილი ქეისის არსი და მისი კონტექსტი, დასმულ ამოცანას წყვეტს სტანდარტული, საჭიროების შემთხვევაში, გამორჩეული მეთოდით.
- აქვს თეორიული მასალის ფართო ცოდნა, გააზრებული აქვს და იყენებს ეთიკის ძირითად ღირებულებებსა და პრინციპებს.
- აქვს სამართლებრივი მოვლენის ანალიზისა და დასკვნის გაკეთების უნარი

ტექსტის კითხვა

მეთოდი ავლენს:

- კითხვის ტექნიკის ხარისხს
- წაკითხული ტექსტის შინაარსის გაგების ხარისხს
- უცხო ენის ცოდნის დონეს

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- სტუდენტმა უნდა შეძლოს მიღებული წერილობითი ინსტრუქციების სწორად გაგება, წაკითხული ტექსტის სწორად გააზრება, ტექსტიდან ძირითადი აზრის გამოტანა.
- მოახდინოს წაკითხულის საკუთარი ინტერპრეტაცია ლექსიკური მარაგის ფართო დიაპაზონისა და სწორი გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენებით.
- თავისუფლად გასცეს პასუხი სხვადასხვა სირთულის კითხვებს.

მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტაცია

მეთოდი ავლენს:

- უცხო ენობრივი ლექსიკის დიაპაზონის ფლობის დონეს
- ტექსტის გააზრების ხარისხს
- შეუფერხებლად მეტყველების უნარს

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- სტუდენტმა უნდა შეძლოს თხზულების თემისა და იდეის სწორად განსაზღვრა, მწერლის ჩანაფიქრის გააზრება, სათაურისა და ტექსტის ურთიერთმიმართების დადგენა, ტექსტის ოთხი ძირითადი შემადგენელი კომპონენტის (ექსპოზიცია, თხრობა, კულმინაცია, კვანძის გახსნა) იდენტიფიცირება.
- თავისუფლად ისაუბროს მწერლის სტილზე;
- სწორად გამოიცნოს ნაწარმოებში მოცემული ყველა სტილისტური ხერხი, გამოხატვის საშუალება, სიმბოლოები და განსაზღვროს მათი კონტექსტუალური დატვირთვა;
- გახსნას ამა თუ იმ გმირის ხასიათი; გამოავლინოს საკუთარი ხედვა.

უცხოენოვანი ტექსტის თარგმანი

მეთოდი ავლენს:

- უცხო ენის ლექსიკურ-გრამატიკული სტანდარტების ცოდნას
- ენობრივი ინტუიციას
- ტექსტის გააზრების ხარისხს

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- ტექსტის შინაარსი გადმოცემულია იმ ენის ლექსიკისა და გრამატიკული კონსტრუქციების გათვალისწინებით რომელ ენაზეც ითარგმნება ტექსტი.
- თარგმანი შესრულებულია გამართული სტილური და გრამატიკული კონსტრუქციებით.
- ტექნიკური თარგმანის დროს დაცულია ტერმინებისა და სიტყვათშეთანხმებების სიზუსტე.
- დაცული უნდა იქნას ავტორის სტილი.

პორტფოლიო

მეთოდი ავლენს:

- ცოდნის დოკუმენტირების უნარს
- ცოდნის სისტემატიზაციის უნარს
- თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან დაკავშირების უნარს
- თვითშეფასების უნარს
- საკუთარი მიღწევებისა და ხარვეზების ანალიზისა და წარდგენის უნარს
- კომუნიკაციის უნარს

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- სტუდენტი აჩვენებს თვითორგანიზების, ინფორმაციის შეგროვების და ეფექტურად ფორმირების უნარს, ავლენს პირადი განვითარების მიდევნების, საკუთარი მიღწევების კრიტიკულად გააზრების, სასწავლო საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრის უნარს.

ლექციის პროტოკოლი

მეთოდი ავლენს:

- მოსმენილი ინფორმაციის კრიტიკულად გააზრების უნარს
- მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნის უნარს
- მოსმენილი ინფორმაციის დოკუმენტირების უნარს
- დასკვნების გაკეთების უნარს

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- ტექსტის გასაგები ენით წერა
- მოსმენილი ინფორმაციის წერილობითი ფორმით სწრაფად ფორმირებისა და ლოგიკურად სტრუქტურირების უნარი.
- ტექსტში სწორი აქცენტების დასმა
- ლექციის კონტექსტში დამატებითი ინფორმაციის მოძიებისა და ინტეგრირების უნარი.

მარტივი ტესტი/ქვიზი

მეთოდი ავლენს:

- ერთი თემის ფარგლებში მასალის ცოდნის დონეს

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- სტუდენტი კონკრეტულ პასუხებს სცემს დასმულ კითხვებს.
- პასუხები სწორია, ეფუძნება განვლილ თეორიულ მასალას და სემინარულ მუშაობას (პროფესორმა სილაბუსში შეიძლება განსაზღვროს ტესტის შესრულების დრო და/ან თითოეული კითხვის წონა).

ზეპირი ქვიზი/ბლიც გამოკითხვა

მეთოდი ავლენს:

- ერთი თემის ფარგლებში მასალის ცოდნის დონეს ზეპირი გამოკითხვით

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- სტუდენტი სხარტ პასუხებს იძლევა დასმულ კითხვებზე.
- პასუხები ადეკვატურია, სრულ წარმოდგენას იძლევა მასალის ფართო ცოდნაზე (ეს კრიტერიუმი შეიძლება დაეყრდნოს ზოგადი შეფასების კრიტერიუმებს).

კომბინირებული ტესტი

მეთოდი ავლენს:

- მასალის ცოდნას რამდენიმე თემის ფარგლებში სხვადასხვა ასპექტით

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- სტუდენტი ამომწურავ და ნათლად ჩამოყალიბებულ პასუხებს სცემს დასმულ კითხვებს. პასუხებით ვლინდება განვლილი მასალის საფუძვლიანი ცოდნა დისციპლინის კონტექსტში.
- ანალიტიკური კითხვების არსებობის შემთხვევაში პასუხებით უნდა ვლინდებოდეს კრიტიკული აზროვნება, ადეკვატური მეთოდების გამოყენების უნარი (პროფესორმა სილაბუსში შეიძლება განსაზღვროს ტესტის შესრულების დრო და/ან თითოეული კითხვის წონა).